ოიკონიმთა წარმოება დიდოურ ენაში

ავტორი ნოდარ არდოტელი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი (საქართველო), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ელფოსტა: nodariardoteli@yahoo.com

ანოტაცია

სტატიაში წარმოდგენილია ოიკონიმთა წარმოების კანონზომიერებანი და თავისებურებანი დიდოურ ენაში. გარკვეულია, რომ ისტორიულად დიდოებით დასახლებულ ტერიტორიას ჰქონდა გავრცელების გარკვეული არეალი, რომელში მოქცეულ დასახლებულ პუნქტებს მოეპოვებოდა როგორც საკუთრივ დიდოური სახელები, ისე ხუნძური სახელწოდებანი. შემჩნეულია რამდენიმე ქართული წარმომავლობის ოიკონიმიც. ამასთანავე, წერილში მოცემულია არაერთი ოიკონიმის ისტორიული ინტერპრეტაცია და გენეზისის დადგენის ცდა, რაც ცხადყოფილია სათანადო მაგალითებით. ოიკონიმთა შესწავლისას ყურადღება გამახვილებულია, ერთი მხრივ, მათ დერივაციულ თავისებურებათა განხილვაზე და ლოკალიზაციის განსაზღვრაზე, მეორე მხრივ კი, ამგვარ სახელთა ეტიმოლოგიური საკითხების გარკვეევაზე.